


F 3.999
1



არჩ. რესადე. 32/05

თბილი

331



ქაპიტალიზაცია

და

მუშაობა გორგალის

~~1909~~
~~1~~
1909. 9. 9
T.

გ ი რ ე ბ
ხევით ფერის რეპრენდი ის ხელის გ ში
მ უ შ ი - მ უ ბ ა მ უ რ ი თ ა მ უ დ ა მ უ რ ი თ ა
კ უ შ ი რ ი ს კ უ ნ ტ რ ა ლ . მ უ დ ე ტ რ ა მ უ რ ი თ ა
მ უ ლ კ უ ლ ტ უ რ ა მ უ ბ ა ლ ტ რ ა ლ . მ უ ბ ა ლ ტ რ ა ლ .



447
442

თ ბ ი ლ ი ს ი

448.

ხევით. რ. გ შ ი რ ი ს ი

1919

1 පුද්‍ර සාමාන්‍ය මූල්‍ය
2 ගුණාත්මක

උග්‍රාම ප්‍රාදේශීලික
සංවාධාන මාධ්‍ය මැධ්‍යම

සාමාන්‍ය මූල්‍ය
ඇතුළතා මාධ්‍ය මැධ්‍ය
විෂය මූල්‍ය
ප්‍රතිඵල මාධ්‍ය මැධ්‍ය

සෑම-2000
සෙමෙන්ඩ් මැධ්‍ය මැධ්‍යම

კაპიტალიზმი

და

მუშათა მოძრაობა

I

„ლრმა გამოქვაბულში, რომელსაც
ირგვლივ გარს შემორტყმული იქნეს ფაბ-
რიკები ტერიტორია ამართული დამბები, გა-
წინკრივებულია ორ ჯგუფად ორისამდე
კოტეჯი, ბევრ სლაგის საერთო უკანი
კედლებით წყვრლ-წყვილ ბინისთვის. ამ
კოტეჯებში თავმოყრილია ოთხი-ათა-
სომდე კაცი, უმთავრესად ირლანდიელები.
კოტეჯები ძველია, ბინძური, ვიწრო.

შათ შეა ქუჩები არაა სწორი, ორ-
მოებიანია. ქვათვენილი ხშირად არაა და
არც იქვთ წყლის ჩამოსადენი. ყოველ
თეხის გაღადგმაზე დაგუბულ წყლებს
შეა ყრია აუარებელი აშმორებული ნა-
გავი. მთელი ჰაერი მოწამლულია ამ
სიბინძურის სუნით, ფაბრიკების კვამლ-
ში არ სჩანს სინათლე და კაცს უძნელ-
ლება სუნთქვა. აქ არეულია ერთმა-
ნეთში აუარებელი დედაკაცები და ბავ-
შვები, ლოჩივით ტალახიანი, რომლე-



ბრკ არხეინად გრძნობენ თავისი წერილი და სიბინძურები.

ადამიანები, რომლებიც სუხოვრობენ ამ მიგლებულ კოტეჯებში, ამ ჩამტვრეულ და ზეთიან ქალალიდ აწებებულ ფანჯრებს იქით, ამ კრიალა და პერგამომპალ კარებს იქით, ან ამ ბნელ და ნოტიო სარლაფებში, ამ უსაზღვრო ტალაბში და ატბორებულ სიბინძურებში, ამ თითქმ განზრის აქოთებულ ჰაერში,—აი ეს ადამიანები ნამდვილად უნდა იდგნენ კაცობრიობის განვითარების უმდაბლეს საფეხურზე...

მაგრამ რა უნდა სთქვა, როცა ტყი-ბილობ, რომ თითოეულ ამ ქოხმაბში, რომელიც შესდგება ღიღი-ღიღი ორი თთახისგან და ცხვენისგან, და ვთქვათ იგრეთვე სარლაფისგან, სდგას საშუალო რიცხვით 20-მდე კაცი, რომ მთელს უბანზე მოდის 120 სულზე ერთი, ხშირად ხელ მიუწდომელი, ფეხის ალაგი, და რომ, მიუხედავად ექიმების მრავალ გაფრთხილებისა, მიუხედავად იმ მდელ-გარებისა, რომელმაც მოიცო ხოლო-რობის დროს სანიტარული პოლიცია მცირე იჩლანდის სანიტარული მდგრ-მარეობის შესახებ, დღესაც, 1834 წ.,

აქ ცველაფერი ისეა, როგორც ეს მუსიკითა 1831 წ. ?

აი ასე აგვიწერდა ინგლისის მუ-
შების მდგომარეობას მუშათა კლა-
სის ცნობილი თეორეტიკოსი ფრ.
ენგელსი, რომელმაც გასულ საუკუნის
მეორმოცვე წლებში შემოიარა ინგლი-
სის სამჩერწველო ოლქები, რომ პირადათ
გაცნობდა მუშათა მდგომარეობას.

ის შთაბეჭდილება, რომელიც ენ-
გელსა გამოიტანა მცირე იჩლანდია-
ში მანჩესტერის მუშების მდგომარეო-
ბის გაცნობიდან, იყო საერთო შთა-
ბეჭდილება მაშ-ნ დელ მუშების მდგო-
მარეობის შესახებ.

ბინის პირობების განდა, როგორც
ინგლისის, აგრძელ კ კონტინენტის მუ-
შების ფიზიკურ და მორალურ დაქვეი-
თებას ხელს უწყობდა, ს საშინელი ექ-
პლოატაცია და ცხოვრების აუტანელი
პირობები, რასაც ალავი ქონდა წინედ.

ჩვენამდე მთალწია რამდენიმე ცნო-
ბამ, თუ როგორი იყო შრომის პირო-
ბები ინგლისში მეცხრამეტე საუკუნის
დასაწყისში.

და როცა ეცნობი ამ პირობებს, თმა
ყალყაზე გიდგება, გვონია ზღაპარი.

პროფეს. გერქნები თავის ცნობილ



ნაწილმოებში „მუშათა კითხვაზე რაჭობა
გვითხრობს შემდეგ ფაქტს, რომელიც
სავსებით ახასიათებს ინგლისის მუშის
მდგომარეობას მრეწველობის განვითა-
რების პირველ ხანებში.

„ერთმა ექიმმა, რომელსაც ზედა პა-
ლატის კომისიამ მისცა. კითხვა, არ
იქნება ახალ გაზრდა სუბიექტებისთვის
მავნებელი სამუშაო დღის სიგრძე 16,
17 და 18 თითქმის 23 საათით, უპა-
სუხა ამაზე უარყოფით.

შემდეგ კითხვაზე: „თუ თქვენ იქვი-
გეპარებათ იმაში, რომ მცირე წლო-
ვანისთვის 23 საათის მუშაობა მავნე-
ბელი იქნება, შეიძლება თქვენ არ უ-
იმაში იყოთ დარწმუნებული, რომ 24
საათის შრომა მავნებელი იყოს?“

ექიმმა უპასუხა მაშინ: „მე არ შე-
შიძლია აღვნიშნო რაიმე საზღვარი 24
საათის ქვევით, არა ჩვეულებრივი
ფაქტები მაიძულებენ მე იქვი შემეპა-
როს იმ საერთო აღგილებში, რაიც იმ
მხრით მიღებულია ყველას მიერ წეშ-
მარიტებალ“. და ასეთი იყო აზრი არა
ერთი ექიმის, არამედ მრავალის.

სპეციალისტების ასეთი შეხედულე-
ბა მუშის დიეტეტიკაზე როდი იყო
უბრალო თეორეტიული ხუმრობა.



გასული საუკუნის ორმოციანიათუები
ორმოცდა ათიან წლებში ინგლისში უკავია
ფაბრიკო პროლეტარიატში არც-კი ქო-
ნდა ალავი კითხვას მასსის ზნეობრივ და
ინტელექტუალურ კულტურის შესახებ.

გასული საუკუნის ოცდა ათიან წლებში ინგლისში წერა-კითხვას სწავლობ-
დებ: ლიდსში 1 ბავშვი 41 ბავშვიდან,
ბირმინგამში 1 ბავშვი 38-დან, მანჩეს-
ტერში 1 ბავშვი 35-დან, ლონდონში
1 ბავშვი 27-დან.*)

ფრ. ენგელსიც მეტი ცუდი მხრით
აგვიწერს სახალხო განათლების საქმეს
ინგლისში 40-იან წლებში.

ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური
ცნობები აშკარა დამამტკიცებელია
იმის, თუ რა გავლენა ჰქონდა ბოროტ-
მოქმედებათა ზრდის მხრით ინგლისზე
ამ უკულტურობას და მუშათა კლასის
გადაშენების კენ წამყვან პირობებს.

სისხლის სამართლის თუიციალურ
სტატისტიკის მიხედვით, ბოროტ-მო-
ქმედებისთვის ინგლისში და უელსში
დაპატიმრებულთა რიცხვი უდრიდა:

1805 წ. — 4605,

1810 „ — 5146,

*.) ი. გუსტავ ს्टეფფენ „Англія, какъ
мировая держава и культ. государство“.



1815	,	— 7898,	1815-1820
1820	,	— 13710,	1820-1825
1825	,	— 14437,	
1830	,	— 18107,	
1835	,	— 20731,	
1840	,	— 27187,	
1841	,	— 27760,	
1842	,	— 31309.	

ეს ციფრები განსაკუთრებით ეხებიან სამრეწველო რაომნებს, საღაც მუშა-თა ექსპლოატაცია თან-და-თან იღებდა საშინელ ხასიათს, ხოლო მუშები კი მოკლებულნი იყვნენ სწავლი-განათ-ლებას.

1842 წ. ბოროტ - მოქმედებასთვის გასამართლებულთაგან $32,35\%$ - მა სრულებით არ იყოდა წერა-კითხვა, $58,32\%$ იყო ცოტა წერა-კითხვის მცოდნე, $6,77\%$ იყო წერა-კითხვის მცოდნე, ხოლო უმაღლეს განათლების პატრონი $0,32\%$. დანარჩენ $2,24\%$ შესახებ არაა ცნობები.

ასეთი იყო ინგლისში კაპიტალიზმის პირველ ხანებში მუშათა მდგომარეობა.

ასეთ პირობებში იყო მუშათა კლა-სი სხვა ქვეყნებშიც კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე.

მაგალითისთვის მოეციყვანთ საჭროზუარ
გვთს.

ქვედა სენის დეპარტამენტის მუ-
შების მდგომარეობის შესახებ აი რას
სწერს ეკონომისტი ე. ბლანკი.

„ქალაქში მეტისმეტი შეჯგუფებული
ცხოვრება, პიგრენური მხრით საშიში
ბინები, ცუდი მაგალითების გადამდებ
სენივით გავრცელება, ბოროტ-მოქმე-
დებანი, რაიც თანდაყოლელი თვისე-
ბა სამრეწველო რეფიმის, სიღრუბჭირე
მუშების, უნუგეშო მდგომარეობა ბავ-
შვების, — ასეთია საერთო თვისება
მსხვილ სამრეწველო ცენტრების, და
ეს თვისებანი გამოხატულია მეტათ ინ-
ტენსიურად ქვედა სენის დეპარტა-
მენტში, რის გამო ეს დეპარტამენტი,
რომელიც სხვებისგან განსხვავდება სა-
სოფლო მეურნეობით, ამ უამათ წირ-
მოადგენს პაუპერიზმისა და უტოპიკ-
ბის ორმაგ მსხვერპლს და იკავებს სო-
ციალურ მღელვარებათა ბუდეებს შო-
რის პირეელ ალავს.

ეხლა აეხადოთ ფარდა ამ დეპარტა-
მენტის მრეწველობის უფრო ავადმყო-
ფურ აღვილებს.

სანიტარული მხრით დაუკმაყოფილე-
ბელი ბინები და მცირე წლოვანთა



შრომით ბოროტ-მოქმედება იმ ჯეგმით-
ტამენტში შეაღვენენ თუ საუმშაა უმარტეს
სამწუხარო მოვლენას.

ამ ნიაღაგზე ავადმყოფობა იზრდება
მოდგმიდან მოდგმამდე, გადაღის ჩამო-
მავლობიდან ჩამომავლობაზე. ის მუდ-
მავ მუსრს ავლებს მცირე წლოვანებს,
ჯერ კიდევ ჩხილ ბავშვებს, იბადება
ავადმყოფი, ჩამომხმარი ჩამომავლობა,
რომელიც მოკლებულია ყოველგვარ
ფიზიკურ წინააღმდევობის ძალის და
მორალურ ლირებულებას. რა ლონეც
არ უნდა იხმაროს სახელმწიფომ და
საზოგადოებამ, როგორათაც არ უნდა
იზრუნონ მათ განათლების გავრცელე-
ბის შესახებ, მანამ, სანამ ბავშვები არ
იხილავენ სინათლეს და იცხოვრებენ
ჯანმრთელ და შესაფერ ბინებში, სა-
ნამ ისინი ულროოთ იქმნებიან მიჯა-
ვეულნი ფაბრიკაზე იმის მაგიერ, რომ
იარონ სკოლაში, მანამ ფუჭებია კელო-
ლოთ მუშათა კლასის ფიზიკურათ და
ზნეობრივათ ამაღლებას.

ქეშმარიტად შესაბრალისი და სამარ-
ცხვინო რუანში მუშათა ბინები... სა-
ქინოა ჩქარა მოხდეს ძირითადი, ენე-
რგიული და დაუყოვნებლივი რეფორ-
მები აღამიანობის სახელით“.

დავუგდოთ ყური ისევ ეკონომისტ
ბლანკის, რომელიც მეტად საჭრებულოა
სურათს გვიხატავს საფრანგეთის მუ-
შათა მდგომარეობის შესახებ მეტა-
მეტე საუკუნის მესამე-მეოთხედში.

— საჭიროა ბოლოს მთელმა საფ-
რანგეთმა გარეოს, რომ ჩვენს გვერ-
დოთ ათასობით ხალხი ცხოვრობს,
რომელთა მდგომარეობა პირველ-ყო-
ფილ აღაშიანთა მდგომარეობაზე უალ-
რესია, ვინაიდან ვერურები, ყოველ
შემთხვევაში, სარგებლობებნ წმინდა
ჰაერით მაინც. სენ-ვიკინგის უბნის
მცხოვრებლებს კი ჰაერიც არ აქვთ.
მათი საშინელი ბრნები უღირთ მათ
კვირაში 60 სანტიმილან ორ ფრანკამდე.
ფანჯრებში თითქმის არსად მინა არა.
ქვედა სართულები ადგილ ადგილ ისე
ნოტიო, რომ კედლებზე ხავსია მო-
კიდებული. სახლის ჰატრონები, რომ-
ლებიც თითქმის ისეთივე ღარიბებია,
როგორც მდგმურები, არავითარ რე-
მონტს არ უკეთებენ სახლებს...

სრული დანგრევა იმ შენობების,—
იმ ერთად-ერთი საშუალება იმ ბორო-
ტების ასაგველათ... აუწერელია იმ
ლრმა მნიშვნელობისა და სარგებლო-
ბის აღწერა, რასაც მოგვიტანდა იმ

ჩივნებელ ბინების აყრა. აქაა დაბულებული თჯახის თანამედროვე მღვდელმწერეა თჯახის მამა გარბის ამ მოუწყობელ შენობილან და დუქანში ეძიებს ხსნას იმ სისაძაგლისგან, რასაც ის ხედავს ამ ბინებში. დედა რჩება აქ მარტო ბავშვებთან, თუ შიმშილმა არ აიძულა ისიც მიატოვოს შეიღები ბედის ანაბარა ან დაუტოვოს ისინი გულ-კეთილ მეზობელს. მამა ბრუნდება სახლში მხოლოდ იმისთვის, რომ იჩივლოს თავის ბედზე ან იგინოს, იღიანძლოს, და თანდათან ეჩვევა მკლივით მოქმედებას, რაიც სრულ სასოწარკვეთილებაში აგდებს თჯახის უფრო სუსტ და უბედურ წევრებს. მე კეთილ-სინიდი-სიერად შევისწივლე შინაური ცხოვრება მრავალი მუშის და თამამად ვამტკიცებ, რომ ბინების ანტისანიტარული მდგომარეობა არის ჭირითადი მიზეზი მათი ყველა უბედურობისა, ტანჯვისა და სოციალური გაქიცრებისა... .

ცნობები მუშათა პდგომარეობის შესახებ ლილში უფრო სამწუხარო და გულ-შემზარევი იყო.

ასეთი იყო მუშათა მდგომარეობა კაპიტალიზმის პირველ წლებში.

მაგრამ ტეხნიკის განვითარებასა და
კაპიტალის უავროვებასთან ერთად შემოვადა
შეთა კლისში შედის შევნება, ის იწ-
ყებს ბრძოლის ამ უკუღმართობასთან
და თანდათან აღწევს თვეს ამ საში-
ნელ მდგომარეობას.

კულტურის ისტორიის ავტორი
ფრიდრიხის ფონ-ჰელვალდი ერთ ილავას
ამბობს: „მაშინაშე უფრო შეუწყო ხე-
ლი მონობისა და ბატონ-ყმობის მოს-
პობას, ვინემ ფილანტროპიამ, მაგრამ
იმისთვის, რომ დაემყარებია მონობა
ახალი სახით, მან წარმოშვა მეოთხე
წოდება“...

— მაშინა კი წარმოშვა ეკონომიკურმა
ურთიერთობამ.

რამდენათაც ვითარდებოდა წარ-
მოება და გროვდებოდა კაპიტალი,
იმდენათ კაცობრიობა იგონებდა ახალ-
ახალ მანქანებს, მიდიოდა წინ, აუმჯო-
ბესებდა წარმოებას.

მანქანები მოცული ხალხის მოვთ-
ნილი კი არაა, ის წარმოშვა თვით
ცხოვრებამ.

ის, რაც წინეთ აკმაყოფილებდა კა-
ცობრიობას, ვერ აკმაყოფილებს ეხლა.
იბადება ახალ-ახალი მოთხოვნილებანი,
ადგილი აქვს ერთგვარ შეჯიბრებას და

ამის თანახმად ვითარდება ტეხნიკა,
რომელიც მეტალინებს დაფუძნებული
ლოს კაცობრიობის მოთხოვნილებათ.

მაგრამ ეს განვითარებული ტეხნიკა,
ეს იხალი მანქანები გადადიან იმის
ხელში, ვისაც იქვს კაპიტალი, ფული,
შეძლება და ამ ნიტოთ ეს მანქანები
იმორჩილებენ მათ, ვისაც არ იქვთ
შეძლება ჩაიგდონ ეს მანქანები.

II

ესლა გადავავლოთ თვეალი თუ რო-
გორ ვითარდებოდა ტეხნიკა და მას-
თან ერთად მრეწველობა.

აახენის პოლიტეხნიკუმის იუბილე-
ზე ერთმა ორატორმა დაახლოებით
სთკვა შემდეგი:

— ...ჩვენი მამა-პაპები არ სარგებ-
ლობდნენ არც გამოცდილებით, არც
ანგარიშით, მხოლოდ ემყარებოდნენ
ტეხნიკურ გრძნობაზე და იკეთებდნენ
თუჯის თაღიან ხიდებს, რომლებიც
დღემდე იქმაუთილებენ თავიანთ და-
ნიშნულებას. მაგრამ ვინაიდან აქ არ
ჰქონდა აღვილი მეცნიერულ საჩიულს,
დიდ იმედებს ამ ხიდებზე არ ამყარებ-
დენ“.

მეცნიერული რეინის გზის ტეხნიკა
იწყებს აუვავებას მხოლოთ მეცნიერი-



ტე საუკუნის მეხუთე ათეული წლებისათვის
შემდეგ. სწორეთ იმ ხანებში იყაფა ქვემოთ
გთას სამრეწველო მ.ნქანებში სასტიკი
მეცნიერული წესები. იმ დროიდან სა-
მუშავო მანქ.ნებს უძვეთ მეცნიერუ-
ლი სარჩევლი.

პროფ. ზომბარტი სწერს:

— ორთქლის მანქანის გამოგონე-
ბა, რაიც, ეჭვს გარეშეა, არის ნაყოფი
მეცნიერული აზროვნებისა, ყოველ
შემთხვევაში სავსებით ეკუთვნის მე-18
საუკუნეს. მაგრამ ჩვენ არ უნდა და-
ვივიწყოთ, რომ თუ ორთქლის მანქა-
ნის იდეა, რომელიც წარმოშვა თანა-
მედროვე ბუნების მეტყველება ისტო-
რიულმა აზროვნებამ, ვითარდებოდა
მე-18 საუკუნეში, ყოველ შემთხვევა-
ში მისი განხორციელება გაჩერდა შე-
ბოჭილი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში
ძველი ემპირიული ტეხნიკის ჩარჩოებ-
ში,— ეს ჩატჩოები კი ძალიან ვიწრო-
ნი იყვნენ. მე-19 საუკუნის დასაწყის-
ში მანქანებს აკეთებდნ სატეხით, ჩა-
ქუჩით და მეტათ უბრალო სახვრებ
აპარატებით. და აქ დურგილს უფრო
მეტი საქმე ჰქონდა, ვიდრე ზეინკალს,
ვინაიდან თეთი რეინასაც შოულობ-
დენ დრო მოკმულ ძველ ფრანკულ



საშუალებით და რეინა საკმაოდ ატენი
კი იშოვებოდა.

ამ ნაირათ, ჩვენ სრული უფლება
გვაქვს ვთქვათ, რომ ორთქლის მან-
ქანის ხანა, განსაკუთრებით გერმანია-
ში, იწყება მე-19 საუკუნეში.

ის, რაც ითქვა ორთქლის მანქანა-
ზე, თანაბარი ზომით ითქმება სამუ-
შავო მანქანაზე. და შეუძლებელია
მათში დავინახოთ თანამედროვე ტეხ-
ნიკის საკუთრება მანამდე, სანამ ისინი
კეთდებიან წმინდა ემპრეისული საშუა-
ლებით. *)

ორმოციან და ორმოუ-და-ათიან
წლებში ერთი მეორეს მოჰყვა ახალ-
ახალი აღმოჩენანი ისტორიულ და ბუ-
ნების მეტყველების გამოკვლევათა
სფეროში, რის გამო მე-XIX საუკუნის
მეორე-მესამედა წლებში მიიღეს ის-
ტორიული ბუნების მეტყველების ეპო-
ქის სახელწოდება.

ამ ახალმა აღმოჩენებმა გაუკვლიეს
გზა კაცობრიობას, რომ ტეხნიკაში
ალაგი ჰქონილი წმინდა რაციონალურ
საშუალებებს.

*) იხ. „Нѣмецкое народное хозяйство
XIX вѣка“.

1872 წ. რობერტ მაიერი შეუდგა სითბოს გამოკვლევას და აღმოჩენისთვის ენერგიის შენახვის კანონი.

1844 წ. ლიბიბმა გამოაქვეყნა თავისი დაუფასებელი წერილები ქიმიის შესახებ.

1856 წ. გელმგოლცი შეუდგა თავის მეცნიერულ ნაწარმოების გამოცემას: „ფიზიოლოგიის თპტიკის სახელმძღვანელონი“.

1859 წ. გამოვიდა დარვინის დაუკიტური შრომა: „Происхождение видовъ путемъ естественнаго подбора“.

იმავე წელს ბუნებმა და კირხვოფ- ვა გამოიკვლიერ მხის სპეციალი.

ეს იხალი აღმოჩენანი კი მნიშვნელოვანი იყო.

მცელი პრიმიტიული ტეხნიკის აღმაგრი იქნება ახალი, მეცნიერული.

ზომბარტი ერთ-ერთ თავის შრომაში ამბობს, რომ ტეხნიკურ გამოკვლევათა სფეროში მუშაობა „პულ-მაზვილ მლვდლებისა და დალიქების შემთხვევაში დილეტანტურ მეცნადინეობიდან გარდიქმნა ნასწავლა სპეციალისტების საქმეთ“.

ამ ხანას ზომბარტი ასე ახასიათებს:



„მერაყეობასა და იქვით ჭირვები უარ
შემიძლიას“ ილიგი დაიკირა გამშეტავა-
მა და ამაყმა „მე ვიცი“! მე ვიცი,
თუ რისთვის არ ლპებიან წყალში ხის
ბოძები; მე ვიცი, თუ რისთვის იწევს
მაღლა წყალი საქაჩ მანქანაში; მე ვიცი;
თუ რატომ დნება რკინა ცეცხლში; მე
ვიცი; თუ რისთვის იზრდება მცენარე,
როცა მე მიწას ვანოყიფრებ; მე ვიცი,
მე ვიცი, მე ვიცი! ასეთია დევიზი ამ
ახალი დროსი, რომელმაც ძირიან·ფეს-
უნათ შესცვალა ტეხნიკა“...

მეცნიერულმა ტეხნიკამ სულ სხვა
ჰავა, ახალი სუნი შეიტანა მანქანების
დამზადებაში და ბოლო მოულო ძევლ
ემპირიულ ტეხნიკას.

ამ ფაქტს კი აქვს გადამჭრელი ეკო-
ნომიკური მნიშვნელობა.

სამრეწველო ელექტრო-ტეხნიკურ
ილმოჩენათა ხანა იწყება მეცხრამეტე
საუკუნის პირველ ნახევრიდან.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახე-
ვარში კი ორი ამოცანა იყო დასახული.

ერთი — ტეხნიკურ ილმოჩენათა გავრ-
ცელება საწარმოებო დარგებში.

მეორე — შეუწყვეტლივი განვითარე-
ბა — წინსვლა ამ ილმოჩენათა, მათი გა-
უმჯობესება, განაუმფიერება.



ამ ხანებში ბევრ ისეთ აღმოჩენები გამოიწვია. მათ შორის აღმოუსადევგარნი იყვნენ, მაგრამ მათი სარგებლობა დღეს ყველასთვის აშკარაა.

მაგალითად, 1860 წ. ფრანგმა ლენუარმა გამოიგონა გაზომიატორის მაგვარი მანქანა.

დღეს საცეტომობილო ინდუსტრიის ხანებში ამ მანქანას დიდი მნიშვნელობა იქვე.

ამავე წელს გერმანელმა ფიზიკოსმა ფილიპე რესმა გამოიგონა პირკელი ელექტრონის ტელეფონი.

ქვემოდ მოყვანილი ორთქლის მანქანათა რიცხვი გვიჩვენებს თუ როგორ ვითარდებოდა მრეწველობა სხვა და სხვა ქვეყნებში:

	ა	რ	თ	ქ	ლ	ი	ს	გ	ა	ნ	ე	ბ
	ო	რ	თ	ქ	ლ	ი	ს	გ	ა	ნ	ე	ბ
1840	40	20	620	40	40	760						
1850	280	100	1200	370	70	1680						
1860	850	330	2450	1120	160	3470						
1870	2480	800	4040	1850	350	5590						
1880	5120	1560	7600	3070	610	9110						

ეხლა გადავაკულოთ თვალი თუ რა
• ღლავი ექირა კაპიტალს ტენისკუბს უჭან-
ვითარების ხანაში.

1840 წელი დად მნიშვნელოვანი
წელია ეფროპის სახალხო მეურნეობის
ახალი ისტორიისში.

ამ წელს აღმოჩინეს ოქტომბერი
კალიფორნიაში და ავსტრიალიაში.

ამ გარემოებამ მეტად შეუწყო ხე-
ლი ვაჭრობა-მრეწველობის განვითა-
რების მსოფლიო მასშტაბით.

აუარებელი კერძო ფული მოაწყდა
შესანახად ბანკებს.

მიგალითად, 1851 წ. პრუსიის ბანკ-
ში კერძო პირთაგან შეტანილი ფულის
რაოდენობა, იანვრიდან ივნისტომდე
4,75 მილიონ ტალერიდან იციდა 9,33
მილიონ ტალერამდე.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ბანკმა არ
იცოდა რა ექნა მოზღვავებულ ფულე-
ბისთვის და ისტორიისთვის უჩვევ ზო-
მას მიმართა: 1 ოქტომბერს 1851 წ.
უარი განაცხადა კერძო პირების ფუ-
ლის შენახვაზე.

პრუსიის ბანკის ლითონის ფონდი 1
იანვარს 1857 წ. უდრიდა 10,8 მილიონ
ტალერს. იმავე წლის ვ1 ოქტომბერს კი
უდრიდა 23,7 მილიონ ტალერს.


 „კეთილშობილ“ ლითონის აღმზუჩვეული
 ნამ დაპარადა მრეწველობაში აყვაწვეჭის თავა
 ხანი.

1850 წლიდან 1860 წლამდე მარტო
 გერმანიაში წარმოიშვა 179 მსხვილი
 კაპიტალისტური წარმოებანი და ოქ-
 ციონერული საზოგადოებანი. ხოლო
 1861 წ. 1870 წლამდე კი 242.

1896 წ. კი ითვლებოდა გერმანია-
 ში 3712 სააქციონერო საზოგადოება.

1855 წ. საფრანგეთის რეინის გზის
 საზოგადოებათა კაპიტალი უდრიდა
 1951 მილ. ფრანკ. საფრანგეთის საკრე-
 დიტო დაწესებულებათა კაპიტალი იყო
 იმავე წელს 867 მილიონი ფრანკი

1864 წელს რეინის გზების სააქციო-
 ნერო კაპიტალი ადის 4 მილიარდ
 ფრანკიმდე.

თანამედროვე მსხვილ ბანკების გან-
 ვითარების დასაწყისით სთვლიან 1852
 წლის დასასრულს, როცა ძმებმა ემილ
 და ისააკ პერეირებმა ნაპოლეონის
 მფარველობის ქვეშ დაარსეს პარიზის
 Credit mobilier.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ
 ემილი და ისააკი პერეირები, ეს გამო-
 ქნილი ორგანიზაციონები საფრანგეთის
 და საერთაშორისო კაპიტალის, ხელ-



მძღვანელობდენ სოციალისტურულფუნდით: ორივენი იუვენინ მიმდევრულში უქა-
სიმონიზმის მეტნიერულ ფინანსიურ
დოკტრინის.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი აშე-
რად გვაჩვენებს თუ როგორი სისწა-
ფრთ ვრთარდება ინგლისში 1850 წლი-
დან ბაშბის საქსოვი წარმოებანი.

წელი	მუნიციპალიტეტი	ჯამური	ფართი	მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტი
1850	1932	21	10800	330924	171
1856	2210	28	12700	279213	171
1878	2674	39,5	14800	482903	181

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახე-
ვარში ვაჭრობა-მრეწველობას იყვავე-
ბის სურათის შესავსებათ საქორთო გა-
დავხედოთ მიმოსვლისა და ამასთან ერ-
თად საქონლის გაცვლა-გამოცვლის
განვითარებას.

მეცხრამეტე საუკუნის მესამე მეო-
თხედში საფრანგეთში დამოკიდებულე-
ბა ტერიტორიასა, მცხოვრებლება,
ლიანდაგიან გზების სიგრძესა, მგზავრ-

	1840 წ.	1852 წ.	1862 წ.	1862 წ.
სახულმწიფოს ტერიტო- რია (1000 ჰარტ.). .	13,028	53,028	54,309	52,857
გუბენის გუბენის ტერიტი- ობისთ)	34,173	35,954	37,519	36,100
რენის გუბენი (1000 ჰა- რტისგრადი)	0,400	3,800	11,100	18,700
გოდაუშენისთ გვიავრები (გოდაუშენისთ)	6,000	22,000	65,000	114,000
გოდაუშენისთ ფოსტის ეჭ- ოული (გილომი.) . . .	147,000	276,000	485,000	648,000
თა მოძრობესა სერია:				



გერმანიის ლილოიდის 1820 წელს
ბით მთელს მსოფლიოზე იყო:

1820 წ.	— 6 ორთქლმავალი
1840 წ.	— 115 "
1860 წ.	— 860 "
1900 წ.	— 12,289 "

1850 წ. გერმანიაში ითვლებოდა
სულ ორი ორთქლმავალი.

თუ რამდენათ მისვლა-ცოსვლა განვი-
თარდა სისწრაფის მხრით, სჩინს შემდეგი
ციფრებიდან: ლოვერპულიდან ნიუიორ-
კამდე უნდა გევლო 1850 წ. 13 დღე,
1860 წ.— 11 დღე, 1879 წ.— 9 დღე.

ქვემოთ მოყვანილი ცნობები მაჩვე-
ნებელია იმის, თუ როგორი სიჩქა-
რით მიღიოდა რეინის გზის პროგრესი.

მთელს დედამიწის ზურგზე იყო:

1830 წ.	332 კილომ. რეინის გზა				
1840 წ.	8641	"	"	"	"
1850 წ.	40,000	"	"	"	"
1860 წ.	111,000	"	"	"	"
1870 წ.	220,000	"	"	"	"
1880 წ.	370,000	"	"	"	"

აქვე უნდა იღვნიშნოთ, რომ ტეხ-
ნიკის განვითარებას და კერძოთ რეი-
ნის გზის საქმეს პირველად მტრებიც
ჰყავდათ და ხშირად ასეთი მტრები
მეცნიერებშიაც მოიპოვებოდნენ.



მაგალითაზ, ბავარიის უმაღლესი სახელმწიფო
მედიცინო კოლეგია შედევრული კურსების გადასაცემა
პირველს ურჩევდა, რომ რეკინის გზის
ხაზისთვის უკელვან შემოევლოთ მა-
ლალი ფიციული ლობეები, რადგან
თრთქმის ხმარება მოძრაობაში მისი
აზრით გამოიწვევდა როგორც მგზავ-
რების, ავტომატიკური მკვრეტრელები შორის
ტვინის მძიმე ტკივილებს.

მაგრამ ცხოვრებამ მაინც თავისი
ქმნა და სძლია უკელა ასეთ საშიშ-
როებას.

რეკინის გზის სიგრძე გერმანიაში
უდრიდა:

1845	წ.	2,131	კილომ.
1850	" .	5,822	"
1855	" .	7,781	"
1860	" .	11,026	"
1865	" .	13,821	"
1870	" .	18,821	"
1875	" .	27,795	"

გადავაკლოთ ახლა თვალი სხვა სამ-
რეწველო ქვეყნებს.

დად	სრიალი.	და	ის.	1870 წ.
ლინდიაში	ლინდიგის	1840 წ.		1870 წ.
გზები იყო.	.	1,349 კილ.	24,383 კილ.	
საფრანგეთში.	.	427	"	17,462
ბელგიაში	.	333	"	2,906
შეერთ. უკრაინში	:	5,344	"	85,288



რუსეთის თავის უზარმაზოერთობულობის
ტორიაზე 1870 წ. ჩერნის გადასახ
ჰქონდა, გერმანიასთან შედარებით,
თითქმის ნახევრათ ნაკლები. *)

ରୂପଶର୍ମା କ୍ଷମା:

1838	Բ.	25	ՅԵՐԵՎԱՆԻ ՀՅՈՒՆՈՒ Ց	Ց
1855	"	1092	"	"
1868	"	4,790	"	"
1870	"	10527	"	"

ოქროს მაღნების, ორთველის ჲელიქ-
ტრონის აღმოჩენის გარდა კიდევ ორ-
მა გარემოებამ შეუწყო ხელი ვაჭრობა-
მრეწველობის აუცილებლის მსოფლიო მას-
შტაბით.

1854 წ. იმერიკულმა სირიუს ფილ-
დმა მოინდომა კაბელის გაყვანა კა-
ლება და დუვრს შეუ. ეს იდეა ინგენ-
რებმა დაამთავრეს მხოლოდ 1866 წ.
27 ივლისს. ევროპისა და იმერიკის
ასეთ შეერთებას კი პქონდა დიდი
მნიშვნელობა ცივილიზაციის ძირი-
ბის მხრით.

მეორე გარემოება კი არის სუეცის
არხის გუვვანა, რის ინიციატორი იყო
ფრანგი ლესერპსი.

^{*)} А. Як. Гонеггеръ „Исторія русской культуры“.

მსოფლიო ვაჭრობის ტრიალი გენერალური
მანიაში ასეთი იყო (მიღიონი მარკები):

წელი.	უეპიტონი.	გატანი.	სივარული ვაჭრობა.
1860		9	29,000
1867—1868	23,314	20,900	44,214
1869—1870	24,326	22,014	40,340
1872—1873	31,088	26,677	57,765

აი ასეთი გიგანტური ნაბიჯით, ასე-
თი სისწრაფით შიდიოდა მეცნამეტე
საუკუნეში ვაჭრობა - მრეწველობის
პროგრესი.

ამგვარად იმერიკა აღმოჩენაშ და ინ-
დოეთისკენ ზღვის გზის გამონახვაშ სი-
ლათ შეუწყეს ხელიკაპიტალიზმის გან-
ვითარებას, აუკავებას.

ახალგენების პოლიტიკა, მტაცებ-
ლობა, სხვა ქვეყნების ძარცვა-გლე-
ჯა, — აი ის წყაროები, სიიდანაც ამოს-
წურეს გაბატონებულ ქვეყნების კაპი-
ტალისტებშა სიმღიდე.

კოტრაბანდა, ზღვაზე ყაჩალობა, მო-
ნებით ვაჭრობა, სავაჭრო ომები, — აი
ის გამდიდრების საშუალება, რაიც იყო
გაბატონებულ ნიკიების ხელში.

რამდენადაც ვითარდებოდა კაპიტა-
ტალისტური წესწყობილება, იმდენად
ქრებოდა წვრილი წარმოება და მთ
ალავს იჭერდა მსხვილი წარმოება.

წვრილი წარმოება ვერ უძლებდა



მსხვილ წარმოებას, ძნელი იურიული ქანკონი კონკურენცია და თანდათანი ინდუსტრიული ბოდა, ქრებოდა.

მაგალითად, გერმანიაში 1882 წლიდან 1895 წლამდე სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა 727,218 კაცით მაშინ, რომ მთელ მცხოვრებთა რიცხვი იმპერიაში ამ დროს განმავლობაში გაიზარდა $61\frac{1}{2}$ მილიონი მცხოვრებლებით.

ამასვე ვხედავთ მრეწველობაშიაც.

1822 წლიდან 1895 წლამდე სამთო და სამშენებლო წარმოებაში გერმანიაში წვრილ წარმოებათა რიცხვს მოაკლდა 186,285 წილმოება (ესე იგი 8,6%). ახალი მანქანები, გაუმჯობესებული ტექნიკა, რომლის შეძენა შეეძლო მხოლოდ მსხვილ სამრეწველო წარმოებებს, უწევდა საშინელ კონკურენციას პრიმიტიულ წილმოებას და აქრობდა მას, სპობდა. ამას ვხედავთ დღესაც.

და ეს იქნება მუდამ, სანამ ორსებობს კაპიტალისტური წესწყობილება, ვინაიდან მსხვილ წარმოებას შეძლება აქვს შეიძინოს უფრო გაუმჯობესებული და უნივერსალური მანქანები, რომლის შემწეობით შეუძლია დამზა-



ლოს აუარებელი საქონელი და გაცი-
ლებით უფრო იაფ ფასებში მიმდევდებია
ნოს მომხმარებელის. ეს კი არ შეუძლია
იმ წარმოებებს, სადაც საქონელი მზად-
დება პრიმიტიული საშუალებით, და
ისინი იხურებიან.

მაგალითიდ, 1882 წ. გერმანიაში
იყო 487,430 მქსოველი. იმათვან ნა-
ხევარზე მეტი, ესე იგი 247,561 მქსო-
ველი სახლში მუშაობდა და თავისი
ნიმუშევარი გიმოჰქონდა ბაზარზე გა-
სისყიდათ. მანქანების შემოლებამ ამ
სფეროში იქამდე მიიყვანა საქმე, რომ
სახლში მომუშავე მქსოველთა რიცხვი
1895 წ. უდრიდა 166,389-ს.

ინგლისში უკანასკნელი სახლში მქსო-
ველი სიმშიღით მოკვდა.

ასეთია კაპიტალის კონცეტრაციის
კანონი.

წვრილი წარმოება ქრება და გზას
უცლის მსხვილ და გაუმჯობესებულ
წარმოებას.

III

ეხლი გადავიდეთ მუშათა მოძრაო-
ბაზე.

ზევით ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ კა-
პიტალიზმის ჩასახვის პირველ ხანებში



მუშების ეკონომიკური მდგრადი გენერაცია
მეტად უწევთ უკ.

კიდევ მეტს ვიტყვეთ, მუშების მდგრადი გენერაცია იქამდე ცუდი იყო, რომ ეს იწვევდა კეთილ-შობილურ მღელ-ვარებას თვით საზოგადოებაში და პრესაში.

პოლიტიკურ ეკონომიკურ ჩეენ ვიცით, რომ მუშა ვერასოდეს ვერ მიიღებს იმდენს, რამდენიც დაახლოებით მაინც ლირს მის მიერ შექმნილი საქონელი.

ფაბრიკანტს აუცილებლად უნდა დარჩეს ეგრედ წოდებული ზედმეტი ლირებულება.

ამ ზედმეტ ლირებულებაში შედის მიწის რენტა, ძირითადი კაპიტალის პროცენტი, ნოქტებისა და სხვა აგენტების ჯამიგირები, „სკიდკა“ ვაჭრების, რომლებსაც მიაქვთ ფაბრიკანტისგან საქონელი, ბევრი და იგრეთვე ის მილიონები, რაც ფაბრიკანტს ჩაიტანა წარმოებიდან.

მუშას ეძლევა იმდენი, რომ ის სიმშილით არ მოკვდეს და მეორე დღესაც მოვიდეს სამუშაოდ.

რამდენადაც დაბალია მუშის მოთხოვნილებანი, რამდენათაც მეტია მუშა ხე-

ლის მიწოდება და სუსტია წინააღმდეგული
გობა მუშების მხრივ, იმდენად დაბაზობია
ლია ხელფასი, იმდენად მეტია ყვლეფა.

აქედან აშენაა, იმ პირველ მუშებს,
რომლებიც კაპიტალისტურ ხანის ჩა-
სახვის დროს მუშაობდნენ, არ ექმნე-
ბოდათ დიდი მოთხოვნილებანი და
აგრეთვე ექსპლოატაციისადმი წინაა-
ღმდევობის გაწევის უნარი, რის გამო
ისინი იმყოფებოდენ მეტად მწარე პი-
რობებში.

კაპიტალისტი რის კაპიტალისტია,
თუ არ ისარგებლებს მუშების ასეთი
მდგომარეობით და არ გამოსწურწნის მათ
უკანასკნელ სისხლს...

ამიტომ არაა გასაკვირიალი, თუ კა-
პიტალისტურ მრეწველობის პირველ
ხანებში მუშა არ განსხვავდებოდა ჩვეუ-
ლებრივ გლახაკისაგან.

ის ჩაფლული იყო სიღატაკეში და
აქედან გამოწვეულ მიზეზებში: ლო-
თობა-გარეულილებაში.

წინად სიტყვა „პროლეტარი“ იყო
გაფუჭებულობის სინონიმი.

პროლეტარი უთუოდ გაფუჭებული,
გაოხრებული კაცი უნდა ყოფილიყო.

რამდენათაც კაპიტალისტური წეს-
წყობილება ვითარდებოდა და მუშები

სთვეს იყრიდენ ლილრონ წარმოშებში, აოლიდარობის გრძნობა თუ კულტურული ფრთარდებოდა, იზრდებოდა პროლეტართა მასსაში.

მუშათა კლასი თანდათან ერკვეოდა თავის ნამდვილ მდგომარეობაში, მასში შედიოდა შეგნება, რომ მას და გლოხაკთა შორის დიდი განსხვავებაა.

გლოხაკი, ლუმპენ-პროლეტარი შესცემერის აღის სუფრას, კმაყოფილდება იმ ნამცეცებით, რაიც მდიდრის ტაბლიდან ჩამოვარდება,— შექმნით კი არაფერს ქმნის, ისეთი პარაზიტია, როგორიც თვით აღა.

პროლეტარიატი კი პირიქით ქმნის იმ სიმდიდრეს, რომელიც ხელთ უპყრია ფაბრიკანტს, თვითონ უმზადებს სხვებს განცხრობას და არაა პარაზიტი, მუქთა-ხორა.

რამდენათაც სოლიდარობისა და თავის სრული მნიშვნელობის შეგნება ლეივლებოდა მშრომელთა მასსაში, იმდენათ ეს უკანასკნელი ზნეობრივ ალორძინების გზაზე დგებოდა, უწევდა წინააღმდევობას მყვლეფლებს და თანდათანობით თავს ართმევდა იმ საშინელ გაჭირებულ მდგომარეობას, რომელიც მშვენიერათ აქვს თავის გა-



მოკვლევებში დახასიათებული ფრაგმენტები
გელს. თვით ქარხნის, წარმომადგენერაცია
მდგომარეობა აჩვევდა მუშებს სოლი-
დარობას და ინტერესთა შეთანხმებს.

წარმოებაში ერთი მუშა არაფერს
წარმოადგენს. შეთანხმებული მუშაო-
ბით კი დიდი საქმე კეთდება.

ძალთა კონპერაცია, შეთანხმებული
მუშაობა, შრომის თანაბარი პირობე-
ბი, რასაც ალავი აქვს თანამედროვე
მსხვილ წარმოებაში, აჩვევდენ მუშებს
შეერთებულ მუშაობას თავიანთ ინტე-
რესებისთვის ბრძოლაში და იმ-გვარათ
თვით კაპიტალიზმი ამზადებდა და
ამზადებს თავის მომავალ სამარეს, რომ
გზა გაეხსნას სოციალიზმს.

წინათ, სანამ ჯერ კიდევ პროლე-
ტიართა კლასი არ იყო ჩამოყალიბებუ-
ლი, წვრილ წარმოებებში ჩვენ ვხე-
დავდით უბრალო ქარგლებს, რომლე-
ბიც სწავლობდენ ხელობას იმისთვის,
რომ თვითონაც გაეღოთ თავიანთი სა-
ხელოსნოები.

ჯერ აქაც ქონდა ალგილი სოლი-
დარობის გრძნობას. ინტერესთა გაერ-
თიანებაზე წვრილ სახელოსნოებშიაც
ლაპარაკობდენ. მაგრამ, დაიბადა თუ
არა პროლეტარიატის კლასი, ეს ინ-

ტერესთა ერთიანობა იქ უფრთხოები-
ლიდა, გაშძუავრდა და დღეს ჩვენიცხვე-
დავთ გაერთიანებულ პროლეტატიატს
მთავრი მსოფლიოს მასშტაბით.

ემ გვირაც, მუშათა საერთაშორისო
ორგანიზაციის ჩანასახს ჩვენ ვხედავთ
ჯერ კიდევ ქარგლებში.

დაქირავებული შრომი არსებობდა
ჩველ და საშუალო საუკუნოებშიაც,
მოლოთ სხვა-და-სხვა ფორმით.

ბრძოლაც დაქირავებულთა და დამ-
ქირავებელთა შორის არაა ანალი:
ისიც მუდამ წარმოებდა სხვა-და-სხვა
ფორმებში.

საგრამ დაქირავებული შრომის მო-
ძრაობა იღებს ფართე და საერთაშო-
რისო ხასიათს მხოლოდ მსხვილ კაპი-
ტალისტურ მრეწველობის ბატონობის
ხანაში, როცა მუშათა კლასი, ტო-
კარტუ შრომით მოვაჭრე ბაზარზე, გა-
მოდის შეკავშირებული ერთი ინტერე-
სით, ერთი აზრით და მიმართულე-
ბით.

— შრომის განთავისუფლება ექს-
პლოატაციის ბრჭყალებიდან,— ით რა
დევიზით გამოუის ეს შეკავშირებული
მუშათა მასსა, რომელიც მაღლი დგას

უოველგვარ წვრილმან და ოდგილობრივი საკითხებზე თავის გრანდიტი გამოსცელებში.

მეცნიერებები საუკუნეებდე ეს ბრძოლა არ იყო კლასიკურათ მოწყობილი. მხოლოდ მეცნიერებები საუკუნეში მეშათა მოძრაობა იღებს კლასიკურ ბრძოლის ხესიათს და ამავე დროს ის არის რევოლუციონურიც, რაღაც ამ კლასთა შორის ბრძოლის დროს შეასდგება მესამე ძალა, მთავრობა, რომელიც უოველთვის გამოდის გაბატონებულ კლასთა დამცველათ.

სწორეთ მეცნიერებები საუკუნეში ეკარგება ნიადაგი სენ-სიმონის, ფურიეს და სხვა ცრუ სოციალისტების სწავლა-მოძღვრებას, რომლებიც ქველმოქმედებით ფიქტობლენ მუშათა მდგრადირეობის გაუმჯობესებას და ამ ქვეყნათ სოციალიზმის დამყარებას. მუშათა მოძრაობა იღებს გარკვეულ ხასიათს და დგება სწორ გზაზე.

1832 წ. დაარსდა გერმანელი მუშების პირველი კავშირი ბილბი (მერიკარიაში).

1840 წ. მაძინი იტალიაში აარსებს მუშების ურთიერთ შორის დამხმარე კავშირებს. 1863 წ. ამ კავშირებს

ქონდათ 453 ორგანიზაცია **111,680**
წევრით.

ერთა 5000
შესაბამისა

საფრანგეთში ნაპოლეონის მთავრობაში 1850 წლის 15 ივლისის კანონით ნება დართო მუშებს დაერჩებით კავშირები; 25 მაისს 1864 წ. იმავე მთავრობაში გაფიცვების ნებაც დართო მუშებს.

1849 წ. ნორვეგიის სოფლის მასწავლებელი ტრინი შეუდგა მუშებში კავშირების დაარჩებას და კიდევ დაარსა ბევრი კავშირი.

1865 წ. ქრისტიანიაში შესდგა მუშათა პირველი მომხმარებელი საზოგადოება.

1858 წ. შეერარიაში სდგება სტაბბაში მომუშავეთა კავშირი.

1865 წ. ევსტრიაში სდგება სტაბბის მუშების ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოება.

გერმანიაში მუშათა პროფესიონალური მოძრაობა იწყება გასულ საუკუნის მესამოცე წლების შეახნებიდან.

1865 წ. დაარსდა ფრიტჩის თამბაჭოზე მომუშავეთა ინტერლოკალური კავშირი.

1866 წ. დაარსდა ასეთივე კავშირი სტამბის მუშათა შორის. არც ერთ ამ

კავშირთაგანს პოლიტიკური სარჩევლებები
არ ედო.

ამავე წელს ნიუიორკში შესდგა
პროფესიონალურ ორგანიზაციათა კონ-
გრესი.

1868 წ. შესდგა ეგრეთ-წოდებული
გირშ — დუნკერის პროფესიონალური
კავშირები, რომლებიც მიზნად ისახავ-
დენ ბუნებრივ გარმონის დამყარებას
მუშებსა და კაპიტალისტთა შორის.
ამ კავშირის პრინციპი ეწინააღმდეგე-
ბოდა ყოველგვარ გაფიცვებს და წი-
ნიალმდევგობის გაწევას მუშების მხრივ.

IV

ზოგრამ ყველაზე უფრო დიდი რო-
ითაშაშეს მუშათა მოძრაობის გა-
რამდევებაში და სწორ ნიადაგზე დაყე-
ნებაში ორმა პიროვნებამ მარქსმა უა-
ენგელსმა.

ამათ სწორეთ აუდეს ალლო ცხოვ-
რებას და თავიანთი „კომუნისტური
მანიფესტი“; რომელიც გამოსცეს
1848 წ., ჩაუყარეს მტკიცე საძირკვე-
ლი თანამედროვე მეტნიერულ სოცია-
ლიზმს, რომლის მოძღვრების გამო-
მხატველი დღეს სოციალ - დემოკრა-
ტია.

მათ დაამტკიცეს, რომ სოციალური წელი,
ეს კეთილი განხრახვა და ჰერედაშოთა
მედება კი არაა, არამედ ის აუცილე-
ბელი მოვლენაა, ის შედეგია არსე-
ბული წეს-წყობილების.

სოციალ-დემოკრატის მიზანი კია
შეგნებული კლისტა ბრძოლისთვის
ნიადაგის მომზადება.

ამ ახალმა მოძღვრებამ და აგრეთვე
მარქსის „კაპიტალი“ რომელიც „კო-
მუნისტურ მანიფესტის“ შემდეგ გამო-
ვიდა, მთელი რევოლუცია მოახდი-
ნეს მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

მაგრამ ამის შესახებ ქვეყით.

იყო მესამე პიროვნებაც, რომელმაც
დიდი როლი ითამაშა იმ ხანებში მუ-
შათა მოძრაობის ისტორიაში. ეს იყო
ფერდ. ლასალი.

განსხვავება ერთის მხრით ლასალსა
და მეორე მხრით მარქსსა და ენგელსს
შორის იმაში გამოიხატებოდა, რომ
ლასალი სახალხო ტრიბუნი, ბელადი
იყო მუშათა მოძრაობის, ამ სიტყვის
სრული მნიშვნელობით, მარქსი და
ენგელსი კი უფრო იდეოლოგები,
დადებითი და დინჯი მომუშავენი იყვ-
ნენ.

მუშათა კითხვის ლასალი ეტანებო-



და რაღაც დემონიური დაწილებითა
მარქსი მუშათა მოძრაობის სისტემაზე
ტიკოსი იყო, ლასალი კი, მიუხედა-
ვათ იმისა რომ სისტემატიკასობისაც
დიდი ნიჭი ჰქონდა, ამავე დროს იყო
მშვენიერი ისტორიკოსიც. მიუხედა-
ვათ მისი არისტოკრატიული შეხედუ-
ლობისა და ცხოვრებისა, ლასალი სუ-
ლით და გულით ეკუთვნოდა მუშათა
კლასს, ის შედმივ ფიქრობდა მასზე და
მუშათა კლასთან იყო დაკავშირებული
მთელი მისი ცხოვრება.

ლასალმა დააარსა 1863 წ. 22 მაისს
მთელ გერმან ელ მუშათა კავშირი, სა-
დაც ის ეწეოდა წმინდა სოციალისტურ
პროპაგანდა-გიტაციას.

როგორც მეცნიერი კომუნისტი, ის
იყო ორიგინალური და დიდი ვიზუალური
მეცნიერული სოციალიზმის გაღრმა-
ვებაში.

მუშათა კლასის უმახლობელეს მიზ-
ნათ ის ისახავდა საყოველთაო, თანა-
სწორ, პირდაპირ და ფარულ არჩევნე-
ბის უფლებას, რომელსაც გადამწყვე-
ტი უფლება უნდა მიენიჭებია მუშათა
კლასისთვის სოციალურ და ეკონო-
მიურ კანონმდებლობაში.

უმახლობელეს ეკონომიკურ იმოცა-



ნათ ლისაღი ისახავდა დაარსებოს მუქი
შეგის საწარმოები ამხანაგობითა, ჩიტექლებია
თაც სახელმწიფო უნდა დახმარებოდა
ფინანსის იურიად. ამ ორგანიზაციებს ძა-
ლიან დიდი ნათესაობა ჰქონდათ ლუი
ბლანის ეგრედ წოდებულ ნეციონალურ
სახელოსნოებთან, თუმცალა ლისაღი
ამას უარსა ჰყოფდა.

ლისაღი იყო ეგრეთვე დიდი პოპუ-
ლიარიზატორი მარქსი, ეგრედ წოდე-
ბულ „ხელფასის რეინის კანონისა“.

გადავიდეთ ეხლა მარქსზე და ენ-
გელსზე:

რომ კლასიური ბრძოლა ვიწრო ჩატ-
ჩოებიდან გადმოვიდეს, რომ ეს ბრძო-
ლა იყოს გრანდიოზული, თავზარდამ-
ცემი კაპიტალის ტებისთვის, საჭირო
პროლეტარიატის საერთაშორისო სო-
ლიდარობა.

და აი სწორედ აქეთვენ მოუწოდებ-
ლნენ მას ამ სამოცდა ათი წლის წინეთ
მარქსი და ენგელი თავის კომუნის-
ტურ მანიფესტში:

— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდითო!

პროლეტარიატის საერთაშორისო
სოლიდარობისაკენ მისწრაფება იწყება
1836 წლიდან. ამ წელს დაარსდა ეგ-



რედ წოდებული „საერთაშორისო კულტურული მუნისტური კავშირი“, რომლის ჟურნალი ლებითაც მიჩნესმა და ენგელსმა 1847 წ. შეადგინეს თავისი ცნობილი კომუნისტური მანიფესტი, ეს მეცნიერული სოციალიზმის დასაბუთება-დამტკიცება.

ისტორიის მატერიალისტურად ახსნამ, სოციალიზმის მეცნიერული და-საბუთებამ ბოლო მოუღო ძველ უტოპიურ-ბურჟუაზიულ სოციალიზმის პროპაგანდას. ბოლო მოუღო აგრეთვე იმ ნაციონალურ კარხაკეტილობის და საერთაშორისო მტრობის, რასაც ბურგუაზიის ადეპტების მეცადინეობით წინად ჰქონდა ადგილი პროლეტარიატში.

ამ უკანისკნელმა ოშკარად დაინახა თუ ვინაა მისი მტერი და მოყვარე. მან დაინახა, რომ საქიროა პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი, შეკავშირებული მოქმედება, სოლიდარობა, რომ გამარჯვებით დამთავრდეს მათი წმიდა საქმე.

მაგრამ 1847—48 წლებში რევოლუციის დამარცხებამ ბოლო მოუღო საერთაშორისო კომუნისტურ კავშირსაც. ის დაიშალა 1852 წ., თუმცა საერთაშორისო სოლიდარობის იღეა არ მოკვდარა, ის სულცხლობდა.



გასული საუკუნის სამოცირნი წერილი
ში იწყება მუშათა გამოლეიძების ხანა,
იწყება პროლეტარული მოძრაობა,
დგება ახალი ხანა ორ ბანაკთა შორის
ბრძოლისა და სიერთაშორისო კავში-
რიც კვლავ სდგება.

ლონდონის მსოფლიო გამოფენამ და
პოლონეთის აჯანყებამ 1873 წელს ხე-
ლი შეუწყეს ამ ახალი კავშირის შე-
დგენას.

28 მარტს 1864 წ. ლონდონის მი-
ტინგზე მუშებმა აირჩიეს კომიტეტი,
რომელშიაც შედიოდენ სხვა-და-სხვა
ერთენების მუშები და მწერლები. ამ
კომიტეტს მიანდვეს შეედგინათ საერ-
თაშორისო მუშათა კავშირის ახალი
ორგანიზაცია. ამ კომიტეტში მოყვა
მარქსი, რომელიც ითვლებოდა ინტერ-
ნაციონალის სულის ჩამდგმელად.

მეტად ცირკებებში უხდებოდა
ამ კომიტეტს მუშაობა. მას უძღა შეე-
ერთებია საფრანგეთის პრუდონისტები,
ინგლისის ჩარტისტები და გერმანელი
ლიასალიანელები. ძნელი იყო უკელა ამ
მიმართულებათა ერთ დროშის ქვეშ თა-
ვის მოყრა.

„მუშათა სიერთაშორისო საზოგა-
დოება“, რასაკვირველია, მიზნიც ისა-



ხავდა კომუნისტურ იდეების დაცულებულ
ღოებას. მარქსი თავის პროექტში, იმ
აზრს ატარებდა, რომ მუშათა კლასის
ეკონომური და საზოგადოებრივი ემან-
სიპაცია სრულიად ის წარმოადგენს
ნაციონალურ პრობლემას, ასამედ ესაა
სოციალური პრობლემა, რომელის გა-
დაწყება უნდა დააჩქაროს მუშათა კლა-
სის საერთაშორისო ორგანიზაციაში.

ამ საზოგადოების მმოქანა იყო ირა
მარტო ის, რომ გაეღვიძებია სხვა და-
სხვა ქვეყნის პროლეტარიატში საერთა-
შორისო სოლიდარობის გრძნობა. ეს
საზოგადოება ისახავდა მიზნად აგრეთვე,
რომ ეჩვენებია მუშათა კლასისათვის
საერთო მიზანი და გზა ამ მიზნის კენ მი-
მავალი. ის მეცალინეობდა შეექროებია
ყველა ქვეყნებში მებრძოლი პროლე-
ტარიატი სოციალიზმის ღროშის ქვეშ.

ამ საზოგადოებამ განაცხადა, რომ
მუშათა განთავისუფლება მხოლოდ მუ-
შების საჭეა, პოლიტიკური ბრძოლა
კი საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად.
პროლეტარიატის განთავისუფლება კი
შესძლებელი იქნება მაშინ, როცა სა-
წარმოვო საშუალებანი, ცხოვრების
წყაროები არ იქნებიან ერთ მუქა პირთა
ხელში, არამედ ისინი გახდებიან სა-



ზოგადოების საკუთრებათ. ამ პრინციპები პეტერი მტერი გაუჩნდა ინტერნაციონალში. ოპოზიციონერებმა დაინახეს, რომ ამ პრინციპების განხორციელებით ბოლო ელექტოდა ძველ სურუაზიულ, წვრილ ბურეუაზიულ და პრიმიტიულ - პროლეტარულ უტოპიზმს, თითქო სოციალიზმის განხორციელება შეეძლოს ფილანტროპებს, ბურეუაზიულ წრიდან გამოსულთ. და ამ ყველა ესენი ჩამოშორდენ ინტერნაციონალს.

იურსკის, ესპანეთის და ბელგიის სექციებმა მიიღეს იდეები რუსის ანარქისტის მიხედვით ბაკუნინის, რომელმაც 1868 წ. გაილაშქრა მარქსის მოძღვრების წინააღმდეგ და დაარსა ცალკე საზოგადოება Allience internationale de la democratie sociale.

ასე თუ ასე მაკიურეთ ინტერნაციონალი არსებობდა 1872 წლამდე. ამის შემდეგ თავი იჩინა შიგ უთანხმოებამ და სატიკები ბრძოლის, კინიდან ყოვლად ძნელი იყო ინარქიზმისა და სოციალიზმის შერიცვება, და 1876 წ. ინტერნაციონალი დაინგრა.

1871 წ. პარიზის კომუნის განადგურების შემდეგ საერთო ევროპის რეაქ-



ციის გამეფებამაც ხელი შეუწყობარისა
ტერნაციონალის დაშლის და გაძლიე-
რებული ტემპით დააჩქარა ეს პრო-
ცესი..

მიუხედავათ ამისა საერთაშორისო
სოლიდარობის იდეა მანიც სკოცხლო-
ბდა და მაგრადებოდა მუშათა კულასში.

„კომუნისტური მანიფესტის“ იდეები
თანდათან იპყრობდენ პროლეტარიატს,
ყველგან კულასთა ბრძოლა თანდათან
უკავშირდებოდა სოციალიზმს და თვით
ეს ბრძოლა და მისი პრინციპები თან-
დათან იღებდენ ყველა ქვეყნებში ერთ-
ნაირ ხსიათს. კოსმოპოლიტური გრძ-
ნობა, ნათესაობის შეგნება სოციალის-
ტურ მოძრაობაში თანდათან იკიდებდა
ფეხს საერთაშორისო პროლეტარიატ-
ში. საჭირო იყო რაიმე საბაბი, რომ
ეს კავშირი კვლავ შეკრულიყო და ეს
საბაბიც გამონახულ იქმნა.

ბასტილის აღების ასი წლის თავზე
დღესასწაულს მოჰყვა საერთაშორისო
კონგრესი პარიზში 1889 წ. დანარჩენ
კონგრესებზე ბრიუსელში 1891 წ., ცი-
ურისში 1893 წ., ლონდონში 1896 წ.
და პარიზში 1900 წ. უფრო და უფრო
მაგრადებოდა მებრძოლ პროლეტარია-
ტის საერთაშორისო სოლიდარობა.



პარიზის კონგრესზე 1889 წელს დამტკიცია
ლიდარობის აღსანიშნავად შიდებულ
იქმნა პირველ მაისის დღესასწაული.

ამ დღეს საერთო სოლიდარობის
გრძნობით გატაცებული პროლეტა-
რიატი მთელ დედამიწის გულზე დღე-
სასწაულობს ინტერნაციონალს.

კ. კაუპკის სიტყვებით რომ ესთქვარ,
უოველი მაისის დღესასწაული მოწმობს
იმას, რომ მუშათა კლასის მასსები
უველი კულტურული მხარეების ეკო-
ნომიურ და პოლიტიკურ ცნობებში
იგნებენ პროლეტარიატის საერთაშო-
რისო სოლიდარობას, პროტესტს ატა-
დებენ ომების წინააღმდეგ და აშეარად
აჩვენებენ უველის, რომ ინტერნაცია
ეგრევ წოდებული ნაციონალური წი-
ნააღმდეგობანი ეხლა ჰუთფენ შეაში
არა ერებს, არამედ ხალხის ექსპლოა-
ტატორებს.

ამ ამ გზით მიღიოდა მუშათა მო-
რაობა. რამდენათაც ვითარდებოდა კა-
პიტალიზმი და იყიდებდა ფეხს მსხვი-
ლი კაპიტალისტური მრეწველობა,
იმდენად პროლეტარიატი უფრო შე-
კავშირებული, უფრო შეგნებული
და მომზადებული გამოდიოდა ბრძო-
ლისთვის და თანდათან უიხლოვ-



დებოდა დასახულ მიზანს, — შერმოხვევა
სრულ განთავისუფლებას ექსპლორის-
ციის ბრჭყალებისგან.

სოციალიზმის განხორციელება შემ-
ლოთ მაშინაა შესძლებელი, როცა სა-
კმაოდ განვითარდებიან საწარმოებ სი-
შუალებანი და თავმოყრილნი იქმნე-
ბიან მსხვილ კაპიტალისტურ მრეწვე-
ლობაში.

კაპიტალიზმის ჩისახვის, ხანაში ფიქ-
რიც კი მეტი იყო სოციალიზმზე, რა-
ღან მის განხორციელებას არ უწყობ-
დენ ხელს ობიექტიური პირობები.

დღესაც არაა საკმაოდ მომზადებული
ეს ნიადაგი.

მაგრამ დღეს არც ისე შორის ის
სანეტარო წამი, როცა მსოფლიო სამ
რეკლოზე ჩამოჰკრავს შრომის სრულ
განთავისუფლების ზარი და ბუშათა
კლისი დაამსხვრევს მონობისა და ექ-
პლოატაციის ხუნდებს.





3140 2 მარტი



БЕЛARУСКАЯ НАЦИОНАЛЬНАЯ
БИБЛИОТЕКА

БНБ